ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲠᲗᲐ ᲒᲐᲜᲒᲔᲗᲘᲚᲘ

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. Კ.Პ.(ᲑᲝ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Კ-ᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲗᲘ, 11 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ 1937 Წ. № 83 (4884)

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

— ჩაის ფოთლის კონტრაქტაცია (მოწვინავე)
— ბოლშევიკური თვითკრიტიკა ჩვენი მოქმედების საფუძველია!
— ზ. ალავიძე — ნავთის ძიება (ფელეტონი)
— ნინო ძიძიგური — შეგნებული დისციპლინა სკოლაში (ფელეტონი)
— ფსევდონიმი (პრესის მიმოხილვის მაგიერ)
— პროკურორის განაჩენი (ხუმრობის გარეშე)

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ:

— მეამბოხეები სასტიკად და მარცხდნენ მკერდუთან
— რესპუბლიკელთა ავიაციის წარმატებითი ოპერაციები
— მდგომარეობა ბისკაის ფრონტზე
— „საჭიროა მოვითხოვოთ იტალიელი და გერმანელი ჯარების გაწვევა ესპანეთიდან“

ჩაის ფოთლის კონტრაქტაცია

წელს პირველად ტარდება ჩაის მწვანე ფოთლის კონტრაქტაცია. მას უაღრესად დიდი სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, იგი უდიდეს სტიმულს იძლევა ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის მაღალხარისხობრივად შესრულების საქმეში. კონტრაქტაცია მიმართულია კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლისავლის შემდგომი ზრდისაკენ.

საქართველომ წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 24.500 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. გარდა ამისა, 3.000 ტონა უხეში ფოთოლი „ლაო-ჩაისთვის“.

წელს ჩაის ფოთლის დამზადების რესპუბლიკური გეგმა შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გადიდებულია და ეს ბუნებრივიც არის. პლანტაციების დიდი ნაწილი სრულმოსავლიანი გახდა და ჩაის კულტურისადმი ბოლშევიკურმა მზრუნველობამ მოსავლის გადიდების ყველა პირობა მოამზადა. გამოიზარდნენ და გამოიჭედნენ ჩაის ენტუზიასტი სტახანოველები, რომლებიც ჩაის ბუჩქის მოვლას და ფოთლის კრეფას ნამდვილად დაეუფლნენ.

საკოლმეურნეო - გლეხურმა სექტორმა წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 17.950 ტონა ჩაის ძირითადი ფოთოლი, ხოლო 1.750 ტონა უხეში ფოთოლი „ლაო ჩასთვის“. დავალება დიდია, მაგრამ სავსებით განსახორციელებელი. ამისთვის ყველა პირობა არსებობს. მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალს ჰექტარზე სახელმწიფო გეგმა აწესებს საკოლმეურნეო - გლეხური სექტორისათვის 1869 კილოგრამს, „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობებისათვის — 2.003 კილოგრამს, ხოლო აჭარის მიწსაბკომის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებისათვის — 1.933 კილოგრამს. მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ უზრუნველყოფილ პირველი ხარისხის მწვანე ფოთლის დიდი რაოდენობით და გადაჭარბებით დამზადება. სახელმწიფო გეგმაში პირველი ხარისხის ფოთოლი უნდა იყოს 72 პროცენტი, მეორე — 18 პროც., ხოლო მესამე—10 პროც.

ჩაის ფაბრიკები კონტრაქტაციას სდებენ მეჩაიე კოლმეურნეობებთან, კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეობებთან. კონტრაქტაცია თვალისწინებს დამამზადებელი ორგანიზაციისა და მეჩაიეს ურთიერთვალდებულებებს.

კოლმეურნეობა და კოლმეურნე, რომელიც კონტრაქტაციით ნაკისრ ვალდებულებას მთლიანად შეასრულებს, ე. ი. მთლიანად ჩააბარებს ჩაის ფაბრიკას ან ჩაის მიმღებ პუნქტს ყველა ხარისხის ფოთოლს, ხოლო გეგმის ზევით დამატებით ჩააბარებს პირველი ხარისხისას, დამატებით მიიღებს გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ კილოგრამ პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლზე არსებული ფასის (კილოგრამი 3 მან. 6 კაპ.) 25 პროცენტს ანუ თვითეულ კილოგრამზე 76,5 კაპეიკს. აღნიშნული ჯილდო-წანამატი საბჭოთა მეურნეობებზეც ვრცელდება.

ერთპიროვნულ მეურნეებს კონტრაქტაციით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად შესრულებისაწ, პირველი ხარისხის მწვანე ფოთლის გეგმის ზევით ჩაბარებისათვის მიეცემათ ჯილდო-წანამატი თვითეულ კილოგრამ პირველი ხარისხის ფოთოლზე 10 პროცენტი არსებულ ფასს ზევით — 30,6 კაპეიკის ოდენობით.

კონტრაქტაციის პირობებში გათვალისწინებულია კოლმეურნეობათა ვალდებულება შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების მხრივაც. კოლმეურნეობანი ვალდებულნი არიან ჩაის პლანტაციები 5-7 წლით მიამაგრონ მუდმივ საწარმოო ბრიგადებს. ბრიგადა უნდა დაიყოს მუდმივ საწარმოო ჯგუფებად. ჯგუფზე მიმაგრებულ უნდა იქნას ჩაის პლანტაციის განსაზღვრული ნაწილი. ეს უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიება წარმოადგენს ჩაის პლანტაციების სამუშაოთა გაპიროვნების შემდგომ გაუმჯობესებას. ამოცანა ის არის, რომ ბრიგადებზე და ჯგუფებზე პლანტაციების მიმაგრება სერიოზული დაკვირვებით, ყველა მომენტის გათვალისწინებით, რაც შეიძლება დროზე დამთავრდეს.

კონტრაქტაციის უდიდესი სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობა უნდა გაეცნოს ყველა კოლმეურნეობას, ყველა კოლმეურნესა და ერთპიროვნულ მეურნეს. უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეებსა, ბრიგადებსა, ჯგუფებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონებს შორის კონტრაქტაციით ნაკისრ ვალდებულებათა დროულად, მაღალხარისხობრივად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკონტრაქტაციო ვალდებულების სწორად განსაზღვრას. საშუალო მოსავალი ჰექტარზე რაიონებისა და კოლმეურნეობების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მიმართ ზუსტად უნდა იქნას დადგენილი, თვითეული რაიონის და მეურნეობის თავისებურების, პლანტაციების შესაძლებელი მოსავლიანობის გათვალისწინებით.

რესპუბლიკური გეგმის მიხედვით ყველაზე მაღალი საშუალო მოსავალი გათვალისწინებულია ქობულეთის რაიონისათვის — აქ საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ უნდა იქნას სრულმოსავლიანი პლანტაციებიდან 3.399 კილოგრამი მწვანე ფოთოლი, ხოლო ყველაზე ნაკლები — ოჩამჩირის რაიონისთვის — 784 კილოგრამის ოდენობით. რაიონებში კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიმართ დაწესებულ უნდა იქნას ფოთლის ჩაბარების დიფერენცირებული ოდენობა იმ ანგარიშით, რომ რაიონში ჰექტარზე საშუალო მოსავალი არავითარ შემთხვევაში არ იყოს დაწესებულ ოდენობაზე ნაკლები.

ჩაის ფოთლის კონტრაქტაციის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ტრესტ „საქართველოს ჩაის“. ადგილებზე დროულად დაიგზავნება სპეციალური დირექტივა და ხელშეკრულებათა ბლანკები საკმაო რაოდენობით. ჯერჯერობით მეურნეობებთან ხელშეკრულების დადება ნელი ტემპით მიმდინარეობს. არც ერთ რაიონს არ წარმოუდგენია ზუსტდღიური ცნობები კონტრაქტაციის მსვლელობაზე. ეს ყოველად შეუწყნარებელია. ამ საქმის გაჭიანურება, მისი ზერელედ ჩატარება დანაშაულს წარმოადგენს.

უნდა გავახსოვდეს — ამხანაგ ლავრენტი ბერიას იმ საბრძოლო დავალების შესრულება, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩაის თვითეულ ბუჩქს და გავზარდოთ მოსავლიანობა, დიდად არის დამოკიდებული ჩაის ფოთლის კონტრაქტაციის სწორად და დროულად შესრულებაზე.

ჩაის რაიონთა პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები სერიოზულ გამოცდის წინაშე დგანან.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲝᲠᲒᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝ-ᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„ორსულობის მოტივებით ქალთა სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმისათვის და მათი ხელფასის შემცირებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 5 ოქტომბრის დადგინილების სწორად შეფარდების მიზნით სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინეს:

განმარტოს, რომ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ორსულმა ქალმა განუწყვეტლივ იმუშავა სახელმწიფო საწარმოებში (დაწესებულებებში) ერთ წელზე ნაკლებ ან მის მუშაობაში უკანასკნელი შეწყვეტის ერთ თვეს აღემატებოდა.

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ

თბილისის რაიონმა ხეხილის გაშენების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. საქმიწსახკომის გეგმით უნდა გაშენებულიყო 240 ჰექტარი. ვადაზე 7 დღით ადრე გაშენებულია 260,5 ჰექტარი (გეგმა შესრულებულია 108,8 პროც.) უმთავრესად გაშენებულია: ვაშლი, მსხალი, ატამი. ნუში, ქლიავი, ლეღვი, ბროწეული, ხეხილის გაშენება გრძელდება.

თბილისის რაიმიწგანის გამგე ვ. გოგოლაძე.

ᲣᲪᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

მაღრიდის ფრონტზე ცხარე ბრძოლებია

პარიზი, 10 აპრილი (საქდესი). გუშინ საღამოს მადრიდის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა მიაახამ ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება. უნივერსიტეტის უბანი მთლად გარშემორტყმულია რესპუბლიკელთა მიერ და იქ გამაგრებულ მეამბოხეებს აღარ შეუძლიათ კავშირი იქონიონ თავის ზურგთან. უნივერსიტეტის უბნის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ უკავიათ მეამბოხეებს და რომელიც გარშემორტყმულია რესპუბლიკელთა მიერ, შეიცავს კასა დელასალესსა და კლინიკურ ჰოსპიტალს“.

◇ ◇ ◇

ᲐᲛᲮ ᲤᲐᲠᲘᲖᲘ ᲐᲛᲑᲐᲠᲐᲭᲘᲙᲘᲡ ᲑᲣᲮᲒᲨᲘ

ᲐᲛᲑᲐᲠᲐᲭᲘᲙᲘᲡ ᲑᲣᲮᲒᲢᲘ, 10 აპრილი (საქდესი). დღეს, 5 საათსა და 35 წუთზე მოსკოვის დროით, ფარიზი გაფრინდა შელაგსკის კონცხიდან, სადაც იგი ჩავიდა გუშინ შიდღის ჟონცხიდან.

ᲔᲖ საათსა და 40 წუთზე თვითმფრინავი „ნ-120“ დაეშვა ამბარაჩიკის ბუხტში. აქ ეკიპაჟი ღამეს გაათევს და ხვალ, თუ ხელსაყრელი ამინდი იქნა, გაფრინდება დასავლეთისაკენ. ტიკსის ბუხტის მიმართულებით.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ

მეამბოხეები სასტიკად დამარცხდნენ მადრიდთან

(ტელეფონით „პრავდის“ ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი, 9 აპრილი (საქდესი). („პრავდის“ საკ. კორ.) მადრიდიდან საღამოს მიღებული ცნობებით, 9 აპრილს, დილის 4 საათზე, მთავრობის ჯარებმა მადრიდის ფრონტზე დაიწყეს დიდი შეტევა. ცხარე ბრძოლა გაიმართა დასავლეთ პარკსა და კასა დელ კამპოში. ლონდონის პრესა აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის არტილერიის სროლისაგან იოგვლივ ყველაფერი ხანხარებს.

რესპუბლიკელთა იერიში სრულიად მოულოდნელი იყო მტრისათვის. მთავრობის ჯარების შეტევას ხელს უწყობდა თვითმფრინავების ჯგუფი (40-მდე თვითმფრინავი), რომელმაც ყუმბარები დაუშინა სახლად დარჩენილ მეამბოხეებს. რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლებმა და მოიერიშე თვითმფრინავებმა ამავე დროს დაბლა ფრენით ტყვიამფრქვევების ძლიერი სროლა აუტეხეს მეამბოხეებს.

ლონდონში მიღებული ცნობებით მთავრობის ჯარებმა დაიკავეს სამხედრო ჰოსპიტალი კარაბანჩელში (მადრიდის დასავლეთით) და განაგრძობენ მტრის შევიწროვებას.

მეამბოხეთა ჯარები უკან იხევენ კასა დელ კამპოს მთელ რაიონში. მთავრობის ჯარების ოპერაციებში მონაწილეობას ღებულობს 40 ტანკი.

მეამბოხეთა თავდაცვის ხაზი დასავლეთის პარკის და კასა დელ კამპოს რაიონში მთავრობის ჯარებმა გაარღვიეს.

ი. ერმაშევი.

„საჭიროა მოვითხოვოთ იტალიელი და გერმანელი ჯარების გაწვევა ესპანეთიდან“

მიტინგი ჭიძვნილი ესპანელი ხალხის ბრძოლისადმი ფაშიზმის წინააღმდეგ

პარიზი, 9 აპრილი (საქდესი). გუშინ პარიზში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიძღვნილი იყო ესპანელი ხალხის ბრძოლისადმი ფაშიზმის წინააღმდეგ. მიტინგი მოაწყეს მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა, მათ შორის, ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტმა, ადამიანის უფლებათა ლიგამ და ერთა ლიგის მეგობართა ფრანგულმა ფედერაციამ. მიტინგს დაესწრო ესპანეთის კორტესთა (პარლამენტის) პარიზში ჩამოსული თავმჯდომარე მარტინეს ბარიოსი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა. შეჩერდა რა ესპანეთის ამბების საერთაშორისო მნიშვნელობაზე, მარტინეს ბარიოსმა განაცხადა: „ესპანეთი შედის ერთა ლიგაში, მაგრამ ეჭვი არ არის იმაში, რომ ერთა ლიგის წესდება არ ყოფილა გამოყენებული. ჩვენ არაუსაფუძვლოდ ველით, რომ დემოკრატიული ქვეყნები დაგვეხმარებიან, ან, უკიდურეს შემთხვევაში, თავიანთი ბატიბით და გულგრილობით არავის დაალრჩობინებენ ჩვენს თავს“.

აღნიშნა რა შემდეგ, რომ ესპანეთის პრობლემამ უკანასკნელ თვეებში მიიღო საერთაშორისო მნიშვნელობა, მარტინეს ბარიოსმა დასასრულ გამოსთქვა იმის რწმენა, რომ რესპუბლიკური ესპანეთი გამარჯვებული გამოვა ამ განსაცდელისაგან.

ბარიოსს შემდეგ გამოვიდა ბელგიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ჰუისმანსი. მან სთქვა, რომ ბელგიაში მთელი ხალხი მღელვარებით ადევნებს თვალყურს ესპანეთის ამბებს. ჰუისმანსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფაშიზმის გამარჯვება ესპანეთში ბელგიისათვის ნაკლები საფრთხე როდი იქნებოდა, ვიდრე საფრანგეთისთვის. ხოლო ფაშიზმს გამარჯვება საფრანგეთში, სთქვა მან, ბელგიის აღსასრულის მომასწავებელი იქნებოდაო. რესპუბლიკურ ესპანეთს, განაცხადა ჰუისმანსმა, აქვს ყველა ხალხისაგან დახმარების სრული უფლება.

შემდეგ სიტყვა აიღო საფრანგეთის კომპარტიის მდივანმა ჟაკ დიუკლომ. ხაზი გაუსვა რა გერმანიისა და იტალიის აგრესიულ პოლიტიკას, დიუკლომ სთქვა: „ჰიტლერი უკვე პირისეის იქითა მხარეს იმყოფებაო. მუსოლინი თავის მხრით ბლოკადას უკეთებს ხმელთაშუაზღვას. ესპანეთის მაროკო ხდება იმ ბაზად, სადაც მზადდება საფრანგეთის მაროკოს წინააღმდეგ მიმართული მოქმედებანი. ის, ვისაც ეს არ ესმის, ან ბრმა არის, ან აგრესორის თანამონაწილე“. დიუკლომ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა მოთხოვნა, რათა ესპანეთიდან გაიწვიონ იტალიისა და გერმანიის ჯარები.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ვალენსია, 9 აპრილი (საქდესი). ფაბრის სააგენტო გადმოგვცემს საზღვაო ფლოტისა და ავიაციის სამინისტროს ცნობას, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ცენტრალურ ფრონტზე რესპუბლიკელთა სწრაფი თვითმფრინავების ესკადრილიამ 11 და 13 საათებს შორის ყუმბარები დაუშინა ვალიადოლიდის რკინიგზის სადგურს. 2 ესკადრილიამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები ტოლედოს გარეუბნებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ საზენიტო არტილერიას ესროდნენ, ისინი დაუზიანებლად დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში.

სამხრეთის ფრონტზე რესპუბლიკელთა ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები მეამბოხეთა ნაწილების დაჯგუფებებს ინოხოსა დელ დუკეს, ესპიელის, პენიაროას, ვილანუევა დელ დუკეს და სხვ. გზაზე. სამმა ორმოტორიანმა თვითმფრინავმა ყუმბარები ჩაჰყარა მალაგის რკინიგზის სადგურზე. ყველა ეს ოპერაცია წარმატებით შესრულდა ისე, რომ რესპუბლიკელები არ დაზარალებულან.

გააფთრებული ბრძოლა მაღრიდის ფრონტზე

პარიზი, 9 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ რესპუბლიკელთა ნაწილებმა ძლიერი იერიშით დაიკავეს თხრილების ხაზები, რომლებიც ჰაჰყურებს კარაბანჩელთან კაზა დელ კამპოს შემაერთებელ გზას. ბრძოლა გააფთრებული იყო. რესპუბლიკელებმა გაამაგრეს დაკავებული პოზიციები.

სააგენტოს სიტყვით, რესპუბლიკელთა ნაწილების ოპერაციები მადრიდის ფრონტზე უშუალოდ ემუქრება კარაბანტასს მაღლობს, რომელიც მდებარეობს კაზა დელ კამპოს აღმოსავლეთით და დაჰყურებს საუნივერსიტეტო უბანს.

მდგომარეობა ბისკაის ფრონტზე

ბილბაო, 9 აპრილი (საქდესი). 9 აპრილს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ბისკაის ფრონტზე, ორდუნიის სექტორში, — ძლიერი საარტილერიო სროლაა. მეამბოხეთა ავიაციამ გუშინ კვლავ მოახდინა სადაზვერვო გაფრენები რესპუბლიკელთა პოზიციებზე და ორჯერ დაუშინა ყუმბარები ქალაქ ბილბაოს გარეუბანს.

პირატების კრეისერმა „ალმირანტე სერვერამ“ დღეს დილით ყუმბარები დაუშინა გზატკეცილს სანტანდერსა და ბილბაოს შორის, პანტაიანის რაიონში, კასტრო ურდიალესის დასავლეთით. დღეს, დილის 9 საათზე, მეამბოხეთა დიდძალი ყუმბარმტყორცნები და ავიაგამანადგურებლები კვლავ ცდილობდნენ ყუმბარები დაეშინათ ბილბაოსათვის, მაგრამ რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლების გამოჩენისთანავე მეამბოხეთა ავიაცია იძულებული გახდა გაბრუნებულიყო; მან დაბრუნებისას ყუმბარები დაუშინა ახლო მდებარე სოფლებს.

ბრძოლები მაღრიდის ფრონტზე

პარიზი, 9 აპრილი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება, კაზა დელ კამპოს სექტორში რესპუბლიკელებმა დღეს დილით დაიკავეს ძველი სასაფლაო. რესპუბლიკელებმა გაიჩაღეს შეტევა ელ პარდოს სექტორში. რესპუბლიკელთა ავიაცია მთელ ღამეს და დილით ადრე ყუმბარებს უშენდა მეამბოხეთა პოზიციებს კაზა დელ კამპოსა და მონტე გარაბიტას, საიდანაც მეამბოხეთა არტილერია ყუმბარებს უშენდა მადრიდს. ბრძოლები გრძელდება. რესპუბლიკელებმა საგრძნობლად გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები ელ პარდოსა და საუნივერსიტეტო უბნის რაიონში. კორუნიის გზატკეცილზე რესპუბლიკელებმა დაიკავეს კუესტა დე ლას პერდისესის მაღლობი.

დღეს დილით მადრიდის ფრონტზე, ელ პარდოდან უსერამდე, რესპუბლიკელთა იერიშები წარმატებით მიმდინარეობდა. რესპუბლიკელებმა შესძლეს საგრძნობლად წინ წაწევა.

ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲒᲘᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲞᲣᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲜᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ტოკიო, 9 აპრილი (საქდესი). გაზეთი „შიაკო“ ფართო კომენტარიებს უკეთებს სამხედრო მინისტრის სუგიამის სიტყვას, რომელიც ამან 8 აპრილს წარმოსთქვა ოფიცერთა კონფერენციაზე. „შიაკო“ განსაკუთრებით აღნიშნავს სუგიამის განცხადებას იმის შესახებ, რომ იაპონიაში არმია წარმოადგენს ცენტრალურ ძალას როგორც საშინაო, ისე საგარეო სიძნელეთა გადალახვის მხრივ. ეს განცხადება, სწერს გაზეთი, ნიშნავს, რომ არმიას ხელი არ აუღია თავის გადაწყვეტ გეგმებზე, არამედ, პირიქით, ცდილობს მაღლწიოს იმას, რომ აღიარებულ იქნეს არმიის წამყვანი როლი არა მარტო თავდაცვის საკითხებში, არამედ, საერთოდ, სახელმწიფო პოლიტიკაშიც.

ლაპარაკობს რა სუგიამის განცხადებაზე არმიასა და რეზერვისტებს შორის თანამშრომლობის შესახებ, გაზეთი აღნიშნავს, რომ რეზერვისტთა ასოციაციამ ამ მითითების სრული შესაბამისად უკვე დაიწყო აქტიური მონაწილეობის მიღება საარჩევნო კამპანიაში, რაც პირველი შემთხვევაა მისი არსებობის განმავლობაში. მაგალითად, კარას პრეფექტურაში 7 აპრილს მოწვეული იყო რეზერვისტთა ასოციაციის ხელმძღვანელების თათბირი, რათა ინსტრუქტაჟი გაეწიათ მათთვის „თუ როგორ სწორად გამოიყენონ რეზერვისტთა ხმის უფლება არჩევნების დროს“. თათბირის ერთერთი ლოზუნგი იყო: „ისარგებლეთ ხმის უფლებით არმიის სულთან შეფარდებით“. კანაგავის პრეფექტურაში რეზერვისტთა ასოციაცია აგრეთვე შეუდგა არჩევნებისათვის მზადებას. ამ პრეფექტურის ასოციაციის ხელმძღვანელობამ ყველა რეზერვისტს დაუგზავნა ფურცლები ლოზუნგებითა და მოწოდებებით, რათა ხმა ძისცენ იმ კანდიდატებს, რომლებსაც მთლიანად შეგნებული აქვთ შეიარაღების გადიდების აუცილებლობა.

ეჭვს გარეშეა, რომ რეზერვისტთა ასოციაცია მოქმედებს სამხედრო წრეებთან სრული კონტაქტით. გაზეთი „ჯაპან ტაიმსი“, ამასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ ეს „პირველი შემთხვევაა, როდესაც სამხედრო ხელისუფალნი სდგამენ ასეთი ხასიათის ნაბიჯებს“.

პორჯბუს ყუმბარები დაუშინეს

პარიზი, 9 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, მეამბოხეთა ორმა თვითმფრინავმა 8 ცეცხლწამკიდებელი ყუმბარა ჩამოაგდო პორტბუში (ესპანეთისა და საფრანგეთის საზღვრის ახლოს). ოდნავ დაზიანდა ბარსელონისკენ მიმავალი რკინიგზა და ჭალების ზოგიერთი შენობა. მეამბოხეთა ერთერთი თვითმფრინავი გადაფრინდა სოფელ სერბერზე (საფრანგეთის ტერიტორიაზე, ესპანეთის საზღვრის ახლოს).

◇ ◇ ◇

გამოძახილი სუგიამის მიერ ოფიცერთა კონფერენციაზე ნარმოთქმული სიტყვის გამო

ტოკიო, 9 აპრილი (საქდესი). გაზეთი „შიაკო“ ფართო კომენტარიებს უკეთებს სამხედრო მინისტრის სუგიამის სიტყვას, რომელიც მან 8 აპრილს წარმოსთქვა ოფიცერთა კონფერენციაზე. „შიაკო“ განსაკუთრებით აღნიშნავს სუგიამის განცხადებას იმის შესახებ, რომ იაპონიაში არმია წარმოადგენს ცენტრალურ ძალას როგორც საშინაო, ისე საგარეო სიძნელეთა გადალახვის მხრივ. ეს განცხადება, სწერს გაზეთი, ნიშნავს, რომ არმიას ხელი არ აუღია თავის გადაწყვეტ გეგმებზე, არამედ, პირიქით, ცდილობს მაღლწიოს იმას, რომ აღიარებულ იქნეს არმიის წამყვანი როლი არა მარტო თავდაცვის საკითხებში, არამედ, საერთოდ, სახელმწიფო პოლიტიკაშიც.

ლაპარაკობს რა სუგიამის განცხადებაზე არმიასა და რეზერვისტებს შორის თანამშრომლობის შესახებ, გაზეთი აღნიშნავს, რომ რეზერვისტთა ასოციაციამ ამ მითითების სრული შესაბამისად უკვე დაიწყო აქტიური მონაწილეობის მიღება საარჩევნო კამპანიაში, რაც პირველი შემთხვევაა მისი არსებობის განმავლობაში. მაგალითად, კარას პრეფექტურაში 7 აპრილს მოწვეული იყო რეზერვისტთა ასოციაციის ხელმძღვანელების თათბირი, რათა ინსტრუქტაჟი გაეწიათ მათთვის „თუ როგორ სწორად გამოიყენონ რეზერვისტთა ხმის უფლება არჩევნების დროს“. თათბირის ერთერთი ლოზუნგი იყო: „ისარგებლეთ ხმის უფლებით არმიის სულთან შეფარდებით“. კანაგავის პრეფექტურაში რეზერვისტთა ასოციაცია აგრეთვე შეუდგა არჩევნებისათვის მზადებას. ამ პრეფექტურის ასოციაციის ხელმძღვანელობამ ყველა რეზერვისტს დაუგზავნა ფურცლები ლოზუნგებითა და მოწოდებებით, რათა ხმა ძისცენ იმ კანდიდატებს, რომლებსაც მთლიანად შეგნებული აქვთ შეიარაღების გადიდების აუცილებლობა.

ეჭვს გარეშეა, რომ რეზერვისტთა ასოციაცია მოქმედებს სამხედრო წრეებთან სრული კონტაქტით. გაზეთი „ჯაპან ტაიმსი“, ამასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ ეს „პირველი შემთხვევაა, როდესაც სამხედრო ხელისუფალნი სდგამენ ასეთი ხასიათის ნაბიჯებს“.

ᲐᲛᲮ. ᲕᲘ. ᲘᲐ. ᲙᲝᲢᲘᲝᲛᲙᲘᲜᲘ
ᲡᲐᲑᲐᲭᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

აქტივის კრების მესამე დღეს, 10 აპრილის დილის სხდომაზე კამათში პირველად გამოდის პირველი განყოფილების (სამტრედია) პოლიტგანყოფილების უფროსი **ამხ. ნესტოროვი.**

— პარტიულ - პოლიტიკური და მასობრივი მუშაობის მივიწყება, — ამბობს ორატორი, — კლასობრივი სიფხიზლის მოდუნება, პარტიის წესების დარღვევა, პროფკავშირული დემოკრატიის დარღვევა— ეს შეცდომები იყო ჩვენს მუშაობაში. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, მაგალითად, სამტრედიის დეპოს უფროსი ამხ. შანიძე, დისტანციის უფროსი ამხ. ეპიტოვი, სადგურის უფროსი ამხ. ლეჟავა და სხვები ჯერ კიდევ ვერ შეეჩვივნენ თვითკრიტიკას, ისინი, როცა მათ აკრიტიკებენ, ნერვიულობენ და თავს იმართლებენ. სადგურის უფროსი ამხ. ლეჟავა გაიძახის: „თქვენ გვაკრიტიკებთ, ჩვენ ვიმუშავებთო“. საერთოდ ჩვენი განყოფილება და კერძოდ სადგურის სამტრედია, სად. რიონი. სამტრედიის დეპო ავარიის ჯერებად ითვლებიან. 25 მარტს სამტრედიის სადგურში მოხდა დიდი დაჯახება, რომელმაც 1 მილიონი მანეთის ზარალი გამოიწვია. ეს არის ჩვენი განყოფილების მუშაკების, და პირადად ჩემი, პოლიტიკური უდარდელობის შედეგი. დაჯახება მოხდა ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დარღვევის გამო. ამიერ-კავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო დარგის უფროსი კუჩანსკი ხელს უწყობდა დაჯახების ინიციატორ მემანქანეებს ქველმოქმედსა და შენგელაიას. ქველმოქმედს უფროსმა არ დაუშვა სამუშაოდ, მაგრამ კუჩანსკიმ იგი აღადგინა. სამტრედიის სადგურში ამასწინათ მომხდარი დაჯახების ინიციატორი იყო მემანქანე შენგელაია. კუჩანსკიმ ისიც დაუშვა სამუშაოზე. უნდა ითქვას, რომ გზის პოლიტგანყოფილებისა და პოლიტსამმართველოს ინსტრუქტორები არ გვეხმარებიან მუშაობაში, ისინი ჩამოვლენ ადგილზე, შეაგროვებენ ამ. ჟორჟოლაძის მოხსენებისათვის საჭირო მასალებს და ბრუნდებიან, ხოლო პარტიულ - მასობრივი მუშაობის უკეთ მოწყობაზე თავს არ იწუხებენ.

ამხ. ნესტოროვის შემდეგ კამათში გამოდის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის დირექტორი **ამხ. ვაჭარაძე.** იგი ამბობს:

— უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს თოფურიძის და სხვა მავნებელთა გამოაშკარავებაში ვერ აღმოვჩნდით ფხიზელ

ბოლშევიკური თვითკრიტიკა ჩვენი მოქმედების საფუძველია!

თვითკრიტიკის გზით

ამ რამდენიმე დღის წინათ შესდგა თბილისის რაიაღმასკომთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის დახურული კრება. პარტკომის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პარტკომის მდივანი ამხ. ს. კურტანიძე.

გამოირკვა, რომ უკანასკნელ ბანებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, ადგილი აქვს სერიოზულ დეფექტებს: არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ძირეული აგიტაციის საქმე რაიაღმასკომის განყოფილებებსა და რაიონული გაზეთის სტამბაში, პარტორგანიზაციის 55 კომუნისტიდან პარტიული დავალება მიცემული აქვს მხოლოდ 15 ამხანაგს. მოუწესრიგებელია პარტდოკუმენტების შენახვა. ხშირია პარტიულ კრებებზე ამხანაგების დაგვიანებისა და დაუსწრებლობის შემთხვევები. პარტიულ კომიტეტს არა აქვს სამუშაო გეგმა, სუსტია კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, ნაკლები ყურადღება ექცევა კედლის გაზეთის მუშაობას.

მომხსენებელი შეეხო პროპაგანდისტულ მუშაობას და აღნიშნა, რომ პოლიტსკოლები მომარაგებული არ არიან საჭირო ლიტერატურითა და დამხმარე ხელსაწყოებით.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი ფორმალურ - ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას ვხვდებით რაიფინგანში და რაიაღმასკომში აქ თვეობით აჭიანურებენ მშრომელთა საჩივრებზე პასუხის გაცემას. ხოლო ზოგჯერ კიდეც ჰკარგავენ განცხადებებს.

— რევოლუციური სიფხიზლის მოდუნების შედეგად — ამბობს მომხსენებელი, რაიაღმასკომის საალრიცხვო განყოფილებაში (გამგე—ბურკაიაშვილი) სახელმწიფო ქონების განიავების ფაქტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩა კომუნისტებისათვის.

დასასრულ, მომხსენებელი ეხება პროფკავშირული და ნებაყოფლობითი რაიონული ორგანიზაციების მუშაობას და აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა ყოვლად უმსგავსოდ არის დაყენებული. განათლების მუშაკთა კავშირის რაიკომი ფაქტიურად არ არსებობს. მისი არჩევის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება. კავშირის თავმჯდომარეს — დავითულიანს 1933 წლიდან არ მოუწვევია საერთო კრება, არა აქვს სამუშაო გეგმა.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც გამოვიდნენ: ამხ. სარიშვილი, ხოშაბაევი, მიგრიაული, ცომაია, ბაქანიძე, ლომიძე, გ. პატარაია, ცხადაია, კირ'შევი, ჭყონია, პაპუაშვილი, ჯიქიძე, ჩიქვანაია, თათარიშვილი, ბასილაია, სოლოლაშვილი, ჭაბუკიანი, გოგოლაძე, ლეკიშვილი.

კამათში გამოსულმა ამხანაგები აკრიტიკებდნენ პარტკომისა და ცალკეული ამხანაგების მუშაობას და ავალდებულებდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს დეფექტების უახლოეს დროში აღმოფხვრისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ამხანაგი (სარიშვილი, ხოშაბაევი და სხვ.) ვერ ურიგდებოდნენ კრიტიკას, რაც თავის სიტყვაში აღნიშნა და მკაცრად გააკრიტიკა რაიკომის მდივანმა ამხ. ლეკიშვილმა.

პარტიული კომიტეტის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და მოკამათეთა მიერ წამოყენებული პრაქტიკული წინადადებებიდან მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი.

შემდეგ დაიწყო პარტიული კომიტეტისა და რაიპარტკონფერენციის დელეგატების არჩევნები. საერთო კრებამ პარტიული კომიტეტის შემადგენლობა 5 კაცით განსაზღვრა, ხოლო რაიპარტკონფერენციის დელეგატების რაოდენობა 13-ით (აქედან ერთი სათათბირო ხმით). პარტიულ კომიტეტში დასახელებული 22 კანდიდატიდან კრებამ საბოლოოდ მიიღო და კენჭი უყარა 17 ამხანაგს. რაიპარტკონფერენციის დელეგატების შემადგენლობის დაზუსტების შემდეგ სიაში დარჩა 30, ხოლო სათათბირო ხმით გასაგზავნად დასახელებულთა სიაში—6 კაცი. კრებამ აირჩია ხმების დამთვლელი კომისია, რომლის თავმჯდომარემ კრებას გააცნო ფარული კენჭისყრის წესი.

კრება შესწყდა 1 საათით. დაბეჭდა სიები, დაილუქა ყუთი. პარტიის თვითეულ წევრს მიეცა 3 სია; ერთი — პარტკომის წევრების, მეორე — რაიპარტკონფერენციის გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატებისა და მესამე — სათათბირო ხმის მქონე დელეგატის ასარჩევად.

პარტკომის შემადგენლობაში ხმის უმრავლესობით გავიდნენ: ამხ. კურტანიძე, ჯავახიშვილი, მიგრიაული, ჯიქია და პატარაია. რაიპარტკონფერენციის დელეგატებად გადამწყვეტი ხმით არჩეულ იქნენ ამხანაგები: ლეკიშვილი, ლომიძე, მიგრიაული, ჯავახიშვილი, მოწონელიძე, პატარაია, ჯიქიძე, გოგოლაძე, კურტანიძე, მელიქიშვილი, ჯიქია, ხუთაბირო ხმით — ამხ. სულთანიშვილი.

ვ. ჯიქიძე

საუკეთესონი — პარჯიულ კომიტეტში

ალგულალი, 9 აპრილი (საქდესი). მანგლისის სოფლის საბჭოს პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ აქტიურად ჩაიარა. პარტკომის მდივნის ამხ. ჩერნიავსკის მოხსენების გამო, კრებაზე დამსწრე 18 პარტწევრიდან, კამათში მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა.

— ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, — ამბობს ამხ. ლომბაროვი, — სუსტად არის დაყენებული პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა. სრულიად არ ექცევა ყურადღება მასობრივ - პოლიტიკურ მუშაობას უპარტიოთა შორის, პარტკომი ყურადღებას არ აქცევს პარტიულ სწავლას, მას არ შეუმოწმებია, თუ როგორ მიმდინარეობს პოლიტწრის მეცადინეობა, არცერთხელ არ მოუსმენია პროპაგანდისტის მოხსენება.

— რევოლუციური სიფხიზლე ჩვენს პარტორგანიზაციაში სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, — სთქვა ამხ. გრიგორიანმა. დაშნაკი გ. პარმანიანი, რომელიც ჩვენს რიგებში შემოძვრა, დროულად ვერ ვამხილეთ.

პარტკომის კარჩაკეტილობაზე, იმაზე, რომ პარტკომის მთელი მუშაობა ეყრდნობოდა პარტიის ორასამ წევრს, — ეგრეთწოდებულ აქტივისტებს, — ილაპარაკა ამხ. ჯალიაბოვმა.

— არ არიან პასიური ბოლშევიკები, არიან უვარგისი ხელმძღვანელები, რომელთაც არ შეუძლიათ საბრძოლო წესით მოაწყონ მუშაობა და ჩააბან მასში ყველა კომუნისტი. ჩვენთან ორგანიზაციაში არის ბევრი ამხანაგი, რომელთაც შეუძლიათ ჩაატარონ საუბრები, კითხვა, მოხსენებანი და სხვა პარტიულ - მასობრივი და პოლიტიკური მუშაობა, მაგრამ პარტკომი არ ამჩნევდა ამ ამხანაგებს, არ აძლევდა მათ დავალებებს.

კრებამ პარტკომის მუშაობა სცნო არადამაკმაყოფილებლად და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი პარტიული მუშაობის გარდასაქმნელად საკ.-სკი.

უჭრო ფაქთოდ გავშალოთ თვითკრიტიკა

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

25 მარტს მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის პარტორგანიზაციის კრებაზე,—გვწერს ამხ. ანანია ტაბატაძე,—საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვიას, გაჩაღდა ბოლშევიკური კრიტიკა. გამოსული კომუნისტები ძკაცრად ამხელდნენ პარტორგანიზაციის ნაკლოვანებებს. ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ იყო.

ამ ცოტახანში 4-ჯერ გამოიცვალა პარტკომის მდივანი. არცერთ მათგანს ანგარიში არ ჩაუბარებია კრებისათვის. კოოპტაციის წესს ფართოდ იყენებდნენ. ფაბრიკის პარტკომის ყველა მდივანი (გარდა უკანასკნელისა) კოოპტაციის წესით იქნა შეყვანილი კომიტეტში. კოოპტირების პრაქტიკას არ ერიდებოდნენ ორჯონიკიძის სახ. (ხარაგოული) პარტრაიკომის მუშაკებიც.

მაგალითად, გასულ წელს რაიკომის შემადგენლობაში კოოპტირებული იყო 7 კაცი.

○

ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის კრებაზე (თბილისის რაიონი),—გვწერენ ამხ. ი. ბუხაიძე და ცომაია,—მთელი გულისყურით მოისმინეს პარტკომის მდივნის ამხ. ბაქრაძის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

გამოსული ამხანაგები მწვავედ აკრიტიკებდნენ პარტიული ორგანიზაციის ნაკლოვანებებს. აღნიშნული კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში 1936 წელს პარტკომის ოთხი მდივანი გამოიცვალა. ლომთაძე, ფეიქრიშვილი, დავითაშვილი და გიგაია. არცერთი მათგანის არც მოსვლა და არც წასვლა არ უკითხავთ პარტიული კრებისათვის, კამათიდან გამოირკვა, რომ აქ უხეშად ამახინჯებდნენ საკოლმეურნეო წესდებას. კოლმეურნეობის გამგეობის წევრთა უმრავლესობა კოოპტირებული იყო. პარტკომი თავის დადგენილებებს არ აცნობდა პარტიულ კრებებს. პარტკომის ყოფილი მდივანი ლომთაძე აშკარად წინააღმდეგი იყო სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლისა კოლმეურნეობაში. იგი ასევე ამცირებდა პროფკავშირების როლს. კოლმეურნეთა, საერთო კრებები მეტად მოუმზადებლად ეწყობოდა, იყო შემთხვევა, როდესაც საერთო კრებაზე 40-დე საკითხი (!) ერთად განიხილეს.

○

ჭსანის აგურ-კრამიტის მექანიკური ქარხნის პარტორგანიზაციის კრებაზე—გვწერს ამხ. დ. რთველიაშვილი,—საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გამომჟღავნებულ იქნა შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის, პარტიის წესდების დამახინჯების უამრავი ფაქტები. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა მიივიწყა პარტიულ პოლიტიკური მუშაობა. კომიტეტის მდივანი უფრო ხშირად დადიოდა რაიონებში სამეურნეო საკითხების მოსაგვარებლად. სრულიად უმართებულოდ სცვლიდა დირექტორს და ავიწყდებოდა თავისი მთავარი მოვალეობა — პარტიული-პოლიტიკური მუშაობის გაშლა. აქ პარტკომს მდივნებიც ხშირად იცვლებოდნენ. 3 წელში 5 მდივანი გამოიცვალა, არცერთ მათგანს წასვლისას ანგარიში არ ჩაუბარებია კრებისათვის. ქარხანაში სტახანოვურ მოძრაობას აფერხებს ბიუროკრატიზმი, მის წინააღმდეგ კი არავინ არ იბრძვის.

ამხანაგებმა მოიყვანეს ბიუროკრატიზმის რამდენიმე მაგალითი. სტახანოველ გ. მამისაშვილის დაზგა № 1 დღემდე შეუკეთებელია, ინჟინერი ეზეკელი რატომღაც აჭიანურებს მის შეკეთებას. ბიუროკრატიზმი ახრჩობს ქარხნის ბუხჰალტერიასაც. ხელფასის გაცემის საკითხი მოუგვარებელია. 1936 წელს შვებულებას ხელფასი ზოგიერთ მუშას დღესაც არ მიუღია. არიან ისეთებიც, რომელთაც 4 თვის ხელფასი არა აქვთ მიღებული.

ყოველივე ეს გავლენას ახდენს წარმოების მუშაობაზე, ადუნებს შრომის ხალისს, ამცირებს ნაყოფიერებას და აქვეითებს პროდუქციის ხარისხს.

○

ამხანაგ სტალინის სახელობის სას. სამეურნეო კომუნისტური სკოლის პარტორგანიზაციის კრებამ 2 დღეს გასტანა, — გვწერს ამხ. ვ. ალექსეევი, — კრებაზე დიდი ინტერესით განიხილეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რის აფუძველზედაც გაშლილ კამათში მონაწილეობა მიიღო 30 კაცმა. გამოსულმა ამხანაგებმა გააკრიტიკეს პარტორგანიზაციის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი პარტორგანიზაციის მუშაობის ახლებურად გარდაჭრისათვის.



ამიერკავკასიის ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ეწევა დიდ მეცნიერულ მუშაობას ყოველგვარი სამეწი მასალის გამოკვლევის მხრივ მათი სახქციონირებისათვის მშენებლობაში გამოსაყენებლად. სურათზე: ინსტიტუტის შეცნიერი თანამშრომელი ინჟინერი კ. თუმანიანი და ლაბორანტი სერგოლიანი ამსწერის წნეხით იკვლევენ ბეტონის დრეკადობის მოდულს, ნიმუშზე დადგმულია მარტენის სარკიანი ხელსაწყო.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

5 აპრილისათვის დათესილია 9.923 ათასი ჰექტარი

სსრკ კავშირის მიწსახკომის, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატისა და კ ვებმრეწველობის - სახალხო კომისარიატის ნაკრები ცნობები საგაზაფხულო თესვის მსვლელობის შესახებ 1937 წლის 5 აპრილისათვის

(ათას ჰექტარობით)

რესპუბლიკები, ხარები და ოლქები	სულ დათესილია		მათ შორის დათესილია						
	ათასობით ჰექტ.	%%-ებით	კოლმეურნეობების	საბჭოთა მეურნეობების	მანქანა-ტრაქტორულ სადგურებს	საბჭოთა მეურნეობებს	კოლმეურნეობებს	ინდივიდუალურ მეკუთვნილებებს	
რსფსრ	3.501	5	3 041	2.667	4	456	320	49	52
უკრაინის სსრ	4.637	31	4.210	4.098	—	427	312	28	56
ბელორუსიის სსრ	17	0,7	17	11	—	—	—	—	—
აზერბაიჯანის სსრ	90	19	78	42	3	9	5	2	0,1
საქართველოს სსრ	142	19	116	58	21	5	—	1	—
სომხეთის სსრ	69	22	65	24	4	—	—	—	—
თურქმენის სსრ	113	40	108	106	1	4	3	1	—
უზბეკთა სსრ	645	34	588	538	5	52	25	24	—
ტაჯიკთა სსრ	202	35	195	72	1	6	2	4	—
ყაზახთა სსრ	300	6	274	255	1	25	17	5	3
ყირგიზთა სსრ	207	25	189	181	1	17	11	2	4
რსფსრ-ის მხარეები, ოლქები და ავტონომიური რესპუბლიკები									
აზოვ-შავი ზღვის მხარე	1 907	35	1.689	1.554	—	268	197	28	38
შორეულ აღმოსავლეთის მხარე	0,4	—	—	—	—	0,4	—	—	0,4
დასავლეთ-ციმბირის მხარე	—	—	—	—	—	—	—	—	—
კრასნოიარსკის მხარე	—	—	—	—	—	—	—	—	—
ორჯონიკიძის მხარე	771	47	674	424	—	97	74	8	6
ვორონეჟის ოლქი	77	2	71	65	—	6	5	—	0,1
აღმოსავლეთ-ციმბირის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
გორკის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
დასავლეთის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ივანოვოს ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
კალინინის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
კიროვის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
კუიბიშევის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
კურსკის ოლქი	47	2	45	38	—	2	—	—	2
ლენინგრადის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
მოსკოვის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ომსკის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ორენბურგის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
სარატოვის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
სვერდლოვის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ჩრდილოეთის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
სტალინგრადის ოლქი	365	12	356	355	—	9	8	—	1
ჩელიაბინსკის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
იაროსლავლის ოლქი	0,8	—	0,8	—	—	—	—	—	—
თათართა ასსრ	0,08	—	—	—	—	0,08	—	—	0,08
ბაშკირეთის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
დაღესტანის ასსრ	35	12	24	19	4	7	6	1	0,4
ბურიატ-მონღოლეთის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
ყაბარდო-ბალკარეთის ასსრ	52	26	48	40	—	4	2	2	0,1
ყალმუხთა ასსრ	26	26	20	26	—	6	6	—	—
კარელიის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
კომის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
ყირიმის ასსრ	172	44	118	118	—	54	20	10	3,8
მარიისის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
მორდოვის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
ვოლგის მხარის გერმანელთა ასსრ	3	0,3	3	3	—	—	—	—	—
ჩრდილო-ოსეთის ასსრ	3	3	3	7	—	—	—	—	—
უდმურტთა ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
ჩაჩნო-ინგუშეთის ასსრ	28	10	25	18	—	3	2	0,5	0,5
ჩუვაშეთის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
იაკუტიის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
უკრაინის სს რესპუბლიკის ოლქები და ავტონომ. რესპუბლიკები									
ვინნიცის ოლქი	578	32	564	539	—	9	1	—	8
დნეპროპეტროვსკის ოლქი	1 139	46	1.056	1.056	—	33	70	3	5
დონეცის ოლქი	715	38	589	589	—	126	88	1	1
კიევის ოლქი	439	19	420	379	—	19	2	1	16
ოდესის ოლქი	949	45	805	795	—	144	125	10	9
ხარკოვის ოლქი	657	26	613	591	—	44	26	3	15
ჩერნიგოვის ოლქი	64	5	63	50	—	1	—	—	1
მოლდავეთის ასსრ	101	35	100	99	—	1	—	—	1
ყაზახთა სსრ-ის ოლქები									
აქტიუბინსკის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ალმა-ატის ოლქი	24	—	24	7	—	—	—	—	—
აღმოსავლეთ-ყაზახსტანის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
დასავლეთ ყაზახსტანის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ყარაგანდის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ყუსტანაის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ჩრდილო-ყაზახსტანის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
სამხრეთ-ყაზახსტანის ოლქი	276	—	250	228	1	25	17	5	3
სულ სსრ კ-ში	9.923	11	8.881	7.982	41	1.001	695	111	115
გეგმის %	—	—	11	11	5	10	13	14	14
იყო 1937 წლის 31/III	5.766	6	5.159	4.642	27	580	407	81	57
იყო 1936 წლის 5/IV	11.211	12	9.656	8.929	93	1.462	820	155	218

○

შენიშვნა: „—„მხარეები, ოლქები, რესპუბლიკები, რომელთაც არ დაუწყიათ თესვა. დაღესტანის ასსრ-ის ცნობები მოცემულია 31 მარტისთვის.

სსრ კავშირის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებში არ არის დანაწილებული უკრაინის სსრ-ის ოლქების მიხედვით 1.380 ჰექტარი.

ცუდად მოემზადნენ არჩევნებისათვის

სამწელიწადნახევარია, რაც 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას (ლენინის რაიონი) არ მოუსმენია პარტიული კომიტეტის ანგარიში, — ასე დაიწყო თავისი საანგარიშო მოხსენება პარტკომის მდივანმა ამხ. კოჭლაძემ საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე.

კრება სამ საღამოს გაგრძელდა. კომუნისტები მწვავედ აკრიტიკებდნენ პარტკომის მუშაობას. აღნიშნავდნენ პარტიის რაიონული კომიტეტის არასაკმაო ხელმძღვანელობას. მოჰყავდათ პარტიის წესდების, შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის ფაქტები პარტკომისა და პარტიის რაიონული კომიტეტის მხრით.

პარტდოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის დროს „პასივობისათვის“ პარტიიდან გაირიცხა 8 კაცი. ადამიანებს რიცხავდნენ მექანიკურად; არ აინტერესებდათ, თუ რატომ არიან ისინი პასიურები, ყურადღებას არ აქცევდნენ ცოცხალ ადამიანს — ამბობდნენ გამოსულები. რაიკომს პარტიული სასჯელი ისე გამოჰქონდა კომუნისტების მიმართ (საყვედური და სხვ.), რომ ამ ამხანაგებს არ იწვევდნენ ბიუროში, და ამით უხეშად არღვევდნენ შინაპარტიულ დემოკრატიას.

პარტიული კომიტეტის მდივნის მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 35 კაცი.

პარტიული ორგანიზაცია არჩევნებისათვის ცუდად მოემზადა. ყველა კომუნისტი არ იცნობდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილს პარტიულ ორგანოთა არჩევნების მომზადების შესახებ. არ იყო საქმიანი მიდგომა კანდიდატურათა წამოყენებისადმი. თვითეული საამქრო ცდილობდა „თავის“ კანდიდატი გაეყვანა. კანდიდატურების განხილვის დროს განუწყვეტელი რეპლიკები ხელს უშლიდა აზრის გამოთქმას. გამოსულთ უძნელდებოდათ ლაპარაკი. ოთახში ხმაურობა იყო, ორატორებს აწყვეტინებდნენ ყვირილით: „კმარა“, „გეყოფა“.

პარტკომის წევრობისა და რაიპარტკონფერენციაზე დელეგატების კანდიდატთა სიას, პირველი კენჭისყრის შემდეგ, დაუმატეს ორი ახალი კანდიდატი. დამთვლელმა კომისიამ გამოაცხადა, რომ კანდიდატებმა საკმაო რაოდენობის ხმა ვერ მიიღესო, და სიები ხელახლა იბეჭდებოდა ოთხჯერ, ახალი კანდიდატების დაუმატებლად.

ახალი პარტიული კომიტეტი არჩეულია 7 წევრის შემადგენლობით. დელეგატებად რაიპარტკონფერენციაზე გადამწყვეტი ხმით არჩეულია 7 ამხანაგი და 1 ამხანაგი სათათბირო ხმის უფლებით (საქდესი).

გ. ალავიძე

აზნავთის საქ. ფილიალის გეოლოგიურ ძიებათა სამმართველოს უფროსი

ნავთის ძიება

საბჭოთა საქართველო მდიდარია მანგანუმის (მარგანეცი), ნახშირის და სხვა ბუდობებით. ამ სიმდიდრესთან ერთად საქართველოს მიწა თავის წიაღში ინახავს ნავთის საბადოებს, რომლებიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე იზიდავდა ნავთის მრეწველების ყურადღებას.

საქართველოში ნავთიანი საბადოების გეგმიანი ძიება საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო.

საქართველოს ნავთი რომ სავსებით რეალურ ობიექტს წარმოადგენს, რომელმაც ახლო მომავალში დიდი როლი უნდა ითამაშოს. სჩანს იქიდან, რომ უკვე გამორკვეული საბადო მირზაანისა 1937 წლის დასაწყისში გადაცემულია სამრეწველო ექსპლოატაციისათვის.

1937 წელს მირზაანმა უნდა მოგვცეს ერთ მილიონ ფუთამდე ნავთი. ექსპლოატაციისათვის სავსებით მომზადებულია აგრეთვე პატარა შირაქის საბადოც. ჩვენ, საბჭოთა მკვლევარები, ვიდრე საბადოს ბურღვას შევუდგებოდით, წინასწარ ვახდენდით ტოპოგრაფიულ აგეგმვას, შემდეგ გეოლოგიურს და, თუ ეს უკანასკნელიც საკმარისი არ იქნებოდა, წვრილი ბურღვით კრელიუსის ტიპის მსუბუქი დაზგით შევისწავლიდით საბადოს და მხოლოდ საბადოს ფიზიონომიის ზუსტად გამორკვევის შემდეგ სწყდებოდა ღრმა ბურღვის საკითხი.

გეოლოგიურ ძიებათა საქართველოს ფილიალი აწარმოებს ნავთის ძიებას საქართველოში. ფილიალი შესდგება სავალე გეოლოგიის განყოფილებისა, ტოპოგრაფიული და კრელიუსის ბურღვის საამქროებისაგან და სამეცნიერო - საკვლევო ლაბორატორიებისაგან.

შარშან შვიდი სავალე გეოლოგიური პარტია აწარმოებდა აგეგმვას შემდეგ რაიონებში: აფხაზეთში, სამეგრელოში, სამხრეთ-ოსეთში, ზემო-რაჭაში, ქართლში (სოფ. კავთისხევის მიდამოებში), თბილისში. (სოფ. პატარძეულის მახლობლად), მირზაანისა და ტარიბანის მიდამოებში და ლეღვის წყალში (ფოთლის მახლობლად).

ნავთობის სტრუქტურის გეოლოგიური მხრივ უფრო დეტალურად შესწავლისათვის ვაწარმოებდით წვრილ ბურღვას კრელიუსის დაზგით კახეთში (ტარიბანი, დიდი გორი, ლეღვის წყალი) და ნორიო-მარტყოფის მიდამოებში.

აფხაზეთში გეოლოგიურ - სავალე გადაღებების დროს გამორკვეულია ნავთისა და საწვავი გაზის ახალი გამოსავლები, რომელთა შორის ყველაზე უფრო ხელსაყრელია პადგის (ტყვარჩელის მახლობლად) და ზვანდრიფშის (ქალაქ გუდაუთის მახლობლად) სტრუქტურები. უკანასკნელში სჭარბობს საწვავი გაზების გამოსავლები. ორივე ეს სტრუქტურა ხელსაყრელია ბურღვისათვის ეგრეთწოდებულ მაიკოპის წრეებზე.

სამეგრელოში გამორკვეულია ორი ანტიკლინური სტრუქტურა — ჯახარკარისა და კორცხელის, რომლებიც აგრეთვე ხელსაყრელია საბურღავად.

სამხრეთ-ოსეთსა და ზემო-რაჭაში აღმოჩენილია მთელი რიგი ნავთის ახალი საბადოები და გამორკვეულია რამდენიმე ხელსაყრელი სტრუქტურა, რომელთაგან გამოირჩევა ცონის (სოფ. ცონი) და პატარა ონისა. სამხრეთ-ოსეთის და ზემო-რაჭის ნავთი დიდ ინტერესს იწვევს იმით, რომ ეს უკანასკნელი შეფარდებულია უძველეს ეგრეთწოდებულ იურის ნალექებთან და ფართო ზონით გავრცელებულია კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობების გასწვრივ.

ქართლში კავთისხევის მიდამოებში, აღმოჩენილია ნავთიანი ქვიშაქვა, რომელიც შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს. მირზაანის სარეწაოს მიდამოში გამომჟღავნებულია დაურღვეველი, დახურული ანტიკლინური ნაოჭი, რომელიც წელსვე ღრმა ბურღვით იქნება გამორკვეული.

ბურღვის პროცესში კრელიუსის ბურღით 1936 წელს ჩვენს მიერ დაზუსტებულია ტარიბანის ნაოჭის სტრუქტურა, რომელიც ახლა ღრმად იბურღება, ერთ მათგანს 2.300 მეტრის სიღრმე აქვს. ტარიბანის თითქმის ყველა ჭაბურღილში შემჩნეულია ინტენსიური ნავთი და გაზი, და ეს მიდამო უსათუოდ დიდ ინტერესს იწვევს. ჩრდილო ტარიბანის ნაოჭი დაზუსტებულია კრელიუსის დაზგით, დიდი გორის ანტიკლინარიც ტარიბანისასა არა ნაკლებ ინტერესს იწვევს. სადგურ ფოთლოს მიდამოებში კრელიუსებით ჩატარებულია დაწვრილებითი გამოკვლევა (დეტალიზაცია) ლეღვის-წყალის ანტიკლინარისა, სადაც ბურღვის პროცესში ზოგიერთ ჭაბურღილში შემჩნეულია საკმარისად ინტენსიური გაზი და ნავთი.

1936 წლის ბოლოს ჩვენ დავიწყეთ ბურღვა თბილისის მახლობლად, ნორიო-მარტყოფის მიდამოებში. ამ მიდამოს მიწის ზედაპირი ცნობილია ნავთობის და წვადი გაზის გამოსვლით. აქ ზოგიერთ ჭაბურღილში, რომელიც კრელიუსის დაზგით არის გაბურღილი, როგორც აკვირვებიდან სჩანს, ჩნდება ინტენსიური გაზი და გადმოდის მსუბუქი ბენზინისებური ნავთი. მიდამო უსათუოდ საყურადღებოა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლო მომავალში თბილისის მახლობლად ჩვენ გვექნება ნავთის სარეწაო, რომელსაც მირზაანის სარეწაოზე ნაკლები მნიშვნელობა არ ექნება.

1937 წლის დასაწყისში გეოლოგიური ძიების შედეგად გამომჟღავნებულია და გეოლოგიურად შესწავლილია 10-ზე მეტი ნავთის საბადოებიანი ადგილი, რომლებიც კრელიუსის დაზგებით მეტი სიზუსტით შესწავლას მოითხოვენ, რათა შემდეგში ისინი ღრმა ბურღვისათვის გადავსცეთ. ამას გარდა, კრელიუსის დაზგებით ღრმა ბურღვისათვის მომზადებულია ნავთის 4 საბადო.

1935 წელთან შედარებით შარშან ჩვენ დიდი წარმატებები მოვიპოვეთ. ეს მოხდა იმის შედეგად, რომ სავსებით გადახალისდა გეოლოგიურ ძიებათა განყოფილების მუშაობა, გაუმჯობესდა მექანიკურ მოწყობილობათა მუშაობა და გაიშალა სტახანოვური მოძრაობა.

1936 წელს კრელიუსით 12.000 მეტრის ნაცვლად გაიბურღა 12.293 მეტრი, ხოლო 1935 წელს 4.930 მეტრი.

1936 წელს თითო მარცხი მოდიოდა ყოველ 878 მეტრზე, ხოლო 1935 წელს ყოველ 149 მეტრზე. შარშან შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 21,8 პროცენტით, 1935 წელს კი — 12,4 პროცენტით.

შარშან ყოველი გავლილი მეტრის თვითღირებულება უდრიდა 49 მან. 50 კაპ., გეგმით კი გათვალისწინებული იყო 51 მან. 82 კაპ. ამ მხრივ 1935 წელს დიდად გავუსწარით. წლიური გეგმები შეასრულეს ლაბორატორიებმაც: პეტროგრაფიულმა — 119 პროცენტით და მიკროპალეონტოლოგიურმა — 109-ით.

ჩვენ, საქართველოს ფილიალის გეოლოგიურ ძიებათა სამმართველოს მუშაკნი, 1936 წლის მუშაობის შედეგებით არ ვკმაყოფილდებით. უფრო მეტი ენერგიით, მეტი ეხტიუზიაზმით ვიბრძოლებთ 1937 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და ამით დავიჩქარებთ საბჭოთა საქართველოში დამოუკიდებელი ნავთობაზის შექმნას.

მოსკოვი

(10 აპრილი, ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან).

თბილისის მატარებლით მოსკოვიდან გამოემგზავრა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილეთა უკანასკნელი ჯგუფი.

ტურნირის მომსახურებისათვის გამოემგზავრა აგრეთვე გაზეთ „64“-ის კორესპონდენტთა ბრიგადა.

ტურნირის შედეგები ყოველდღე გადაეცემა მოსკოვ-თბილისის პირდაპირი მავთულით.

გაზეთ „64“-ის რედაქცია მომავალ ტურნირის უძღვნის გაზეთის მორიგ ნომერს, რომელ

ქალების მიმოხილვის მაგიერ

ფსევდონიმი

„სტალინური გზით“ — დუშეთი

ჩვენს ლიტერატურულ მკვლევარებს დიდ დროს ართმევს ფსევდონიმების ახსნა და გამოცნობა. ჰომეროსის „ილიადაში“ მათ ამ მხრივ ალბათ კიდევ მეტი შრომის გაწევა მოუხდებათ.

და იცით, რამდენად მეტი?

წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ 2037 წელს. ხართ მკვლევარი. მოგიტანეს არა მეთორმეტე საუკუნის რომელიმე წიგნი, არამედ ათასი წლის წინათ, ე. ი. 1937 წელს გამოსული დუშეთის რაიონული გაზეთის კომპლექტი და გეუბნებიან:

— უნდა გამოიკვლიოთ: ვინ ადგენდა ამ გაზეთს, ვინ იყვნენ მისი თანამშრომლები და სოფლკორები? და წყაროდ გაქვთ მხოლოდ ამ გაზეთში მოთავსებული კორესპონდენციები...

დამერწმუნეთ, ამის გამოცნობა უფრო ძნელი გახდება, ვიდრე რუსთაველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღდგენა.

ჯერჯერობით უცნობია რუსთაველის ნამდვილი გვარი, მაგრამ ვიცით, რომ მას შოთა ერქვა. არ ვიცით, რა გვარი იყო მოდრეკილი, მაგრამ ვიცით—მისი სახელი მიქაელია. დუშეთის რაიონულ გაზეთში კი მოთავსებული კორესპონდენციების ავტორთა გვარიცა და სახელიც მეტწილად უცნობია და მომავალი მკვლევარებისათვის სიძნელეს სწორედ ეს შეჰქმნის.

მკვლევარობას არ ვჩემულობთ, მაგრამ ამ ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში მომავალი მკვლევარებისათვის დამხმარების გაწევა მაინც სჭიროდ მიმაჩნია. სწორედ ამან მაფიქრებინა დუშეთის რაიონული გაზეთის უკანასკნელი წლის ნომრებიდან ამომეწერნა ფსევდონიმები და მომეხდინა მათი კლასიფიკაცია.

საერთოდ, აქაური ფსევდონიმები ეძლვა ჯგუფად ანუ კატეგორიად იყოფა.

ფსევდონიმების პირველი ჯგუფი ბოლოვდება ასე—ელი. ეს ავტორთა საცხოვრებელ ადგილს უნდა გამოხატავდეს. მაგალითად: მლეთელი, სტროიობზოდელი, არაგველი, ფასანაურელი, ქვენობნელი, მჭადიჯვრელი, არაბეთელი და სხვ.

ფსევდონიმების მეორე ჯგუფი ისევ ელი-თ ბოლოვდება. მაგალითად: იელი, მაყურებელი, დამკვრელი, მსმენელი, მნახველი, გამვლელი, ალელი და ასე შემდეგ.

მკვლევარებმა ამ ჯგუფის ფსევდონიმები, ჩემის აზრით, უფრო კრიტიკულად უნდა განიხილონ. მაგალითად, ფსევდონიმი „დამკვრელი“ შეიძლება წარმოიდგინონ არა სოციალისტური შრომის დამკვრელისაგან, არამედ დუდუკის, სალამურის, ზურნის ან სხვა რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტის დამკვრელისაგან.

მესამე ჯგუფი ანუ კატეგორია ფსევდონიმებისა რი-ებით, ნი-ებით, ვი-ებით, რე-ებით, სი-ებით, კა-ებით, ზა-ებით, სტი-ებითა, და ლა-ებით ბოლოვდება.

მაგალითად: იქაური, აქაური, გულშემატკივარი, მგზავრი, წევრი, ნაწყემსარი, მეგზური, მზვერავი, სახრე, მეთვალყურე, ორნი, სამნი, სიმპლექსი, კვესი, ონიკა, მარკოზა, კავალერისტი, წკეპლა და ა. შ.

მეოთხე ჯგუფის ფსევდონიმები ასე იკითხება: კ. ბ-ლი, ი. ვერ-ლი, თ. ბურ-ლი, თ. ბ-ლი, გ. მ-ლი, თ. მლე-ი, დ. კაჭ-ვი, ლ. ბუ-რი, კ. ურა, დ. კა-ი, კ. უ-რი, ხ. ძ-ი, ხ. რ-ი, ვ. კ-ი, ბ-ლი, ხ-რი და სხვ.

აქ ავტორთა სახელისა და გვარის ინიციალებია ნაჩვენები. მათი ამოცნობა შედარებით უფრო „ადვილია“. მაგალითად, მკვლევარს უყოყმანოდ შეუძლია დასწეროს, ფსევდონიმი „კ. ბ-ლი“, ეს იგივე კირილე ბუზიაშვილაო. არც იმაში გამოედავებიან, თუ კირილე ბუზიაშვილს მაგივრად კიკოლიკა ბებიაშვილს დაასახელებს.

არის ასეთი ფსევდონიმებიც: კ. არ-ძე, ე. ც-ძე, ა. ბ-ძე, კ. კ-ძე, ტ. კ-ძე, ა. ჭა-ძე, ძა-ძე.

ესენი რამდენადმე მეოთხე ჯგუფის ფსევდონიმებს ჰგვანან, მაგრამ საჭიროდ ვცანით შეგვეტანა მეხუთე ჯგუფში, რადგან თავისი აღნაგობითა და დაბოლოვებით განსხვავდებიან სხვებისაგან.

მეექვსე და უკანასკნელი კატეგორია—ეს არის ფსევდონიმები, ძარტო ასოებით აღნიშნული. მაგალითად: ა. ხ., ს. მ., ა. ე. და ასე შემდეგ.

ამ ფსევდონიმების ორგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარს საშუალება აქვს ეს ასოები ისე ახსნას, როგორც მოესურვება. მაგალითად ინიციალები „ა. ს.“ ხომ შეიძლება ნიშნავდეს არისტარხ სიკინჭილაძეს, მაგრამ ვის ეკნება საწუხაროძეგო, რომ მკვლევარმა ამის მაგივრად ანეპოტისტე სეფერთელაძე დასწეროს?

რა თქმა უნდა, არავის!

და თუ ვინმე მაინც ახირდება და შეედავება, საუბნოა თავის გასამართლებელი რაიმე საბუთი აღმოაჩნდეს...

○

რა საერთო დასკვნა შეუძლია გამოიტანოს მომავალმა მკვლევარმა დუშეთის რაიონული გაზეთის მიერ ნახმარი ფსევდონიმების ამ კლასიფიკაციიდან?

თუ ის კარგად ჩაუკვირდება აღნიშნულ დაჯგუფებას და ანგარიშს გაუწევს იმას, რომ ამ გაზეთში მოთავსებული წერილების უმეტესობა ერთნაირად უხეირო ენითა და შტამპით არის დაწერილი, დარწმუნდება, რომ ეს აუარებელი ფსევდონიმები მხოლოდ რამდენიმე კაცს ეკუთვნის.

აი, მაგალითად, რა თანდათანობითს ცვლილებას ანუ როგორც ამბობენ—ევოლუციას განიცდის ფსევდონიმები დუშეთის რაიონული გაზეთის მუშაკთა ხელში.

რედაქციაში მუშაობს ამხ. თ. ბურდული, მისივე ფსევდონიმია თ. მლეთელი, (ხოდიში საიდუმლოების გამომჟღავნებისათვის!) და ამ სახელისა და ფსევდონიმის ბრუნვა კლასიფიკაციის შემდეგ ასეთ სახეს ღებულობს: თ. ბურდული, იგივე: თ. ბურ-ლი, თ. ბ-ლი, ბ-ლი, თ. მლეთელი, თ. მლე-ი, მ-ლი.

ნუ დაფრთხებით, მკვლევარნო!

არც ისე რთული ყოფილა დუშეთის რაიონული გაზეთის კომპლექტის საშუალებითაც კი ფსევდონიმების გამოცნობა!

ამ გაზეთის რედაქტორი ამხ. ხეთაგური ალბათ ითავებს დასწეროს ისტორიული ნარკვევი ფსევდონიმების შესახებ. ეს კიდევ უფრო გაუადვილებს მუშაობას ლიტერატურის მკვლევართ და საშუალებას მისცემს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს სწორი წარმოდგენა იქონიონ, თუ რატომ მიმართავენ გაზეთის ხელმძღვანელები ამ მეთოდს.

საგაზაფხულო სამუშაოები

ჭარხლის თესვა დააგვიანეს

(„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან).

გორის რაიონმა წელს სახელმწიფოს 455.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი უნდა ჩააბაროს, ანუ 125.000 ცენტნერით იმაზე მეტი, ვიდრე შარშან. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და ცალკეულ საკოლმეურნეო ბრიგადებს აღებული აქვთ ვალდებულება მიიღონ ჰექტარზე საშუალოდ 700—800 ცენტნერი მოსავალი და მეტიც.

ამ ბოლშევიკური დავალების შესრულება ადგილობრივი პატრიოტული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდნენ თესვის დაწყებას და უზრუნველეყოთ მისი ვადაზე დამთავრება. მაგრამ გორში ამას ვერ მიაღწიეს.

მტს-ის უხეირო მუშაობით ჩაიშალა საჭარხლო მიწების მძრალად მოხვნის გეგმა (1300 ჰექტარიდან მოიხნა 600). ადრეული ხვნის გეგმაც ვერ შესრულდა წესიერად. ზოგიერთ კოლმეურნეობაში გაზაფხულის ნახნავი დროზე არ დაფარცხეს, რომ ბელტები დაეფხვნათ. ამან გამოიწვია თესვის წინა სამუშაოების შეფერხება და გაჭიანურება.

შაქრის ჭარხლის თესვის ვადა ამოიწურა, მიუხედავად ამისა, გეგმის შესრულება 40,7 პროცენტს არ აღემატება. 1300 ჰექტარიდან 8 აპრილისათვის რაიონში მხოლოდ 529 ჰექტარი იყო დათესილი.

ცალკეულ სოფლსაბჭოებში კი თესვის ტემპები კიდევ უფრო დაბალია. მაგალითად, ზერტის სოფლსაბჭოს ჭარხლის თესვის გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდა 10,3 პროცენტით, ვარიანისას — 7,1-ით ტირძნისისას — 14,8-ით, ქვემო-ახალსოფლისას — 22,2-ით. რაც შეეხება ქალ. გორს, დიცის, ბერბუკის და ბნავისის სოფლსაბჭოებს, აქ თესვა დაწყებულიც არ იყო.

არიან სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობები, რომლებიც ჭარხლის თესვაში აშკარა დაუდევრობას იჩენენ. მაგალითად, ბერბუკის სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. პავლე ჭიპაშვილმა 33 ერთპიროვნულ მეურნეს ჭარხლის თესვის მტკიცე გეგმა-განრიგი 30 მარტს მისცა. ერთპიროვნულ მეურნეებს, რომლებმაც უკვე მოიტანეს თესლი და მინერალური სასუქი, ჯერაც არა აქვთ მიჩენილი საჭარხლე მიწა. ხვნისა და თესვის დაწყებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ბერბუკის კოლმეურნეობაში დროზე გაგზავნეს 6-მწკრივიანი სათესი მანქანა, საჭარხლე ნიადაგიც მოამზადეს, მაგრამ ჭარხლის თესვა 8 აპრილს აქ დაწყებულიც არ იყო — „ჯერ ქერის თესვას დავამთავრებთ, ჭარხალს შემდეგაც მოვასწრებთო“, — აცხადებენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელნი.

მეღვრეკისის კოლმეურნეობაში დაგვიანებით დაიწყეს საჭარხლე მიწების გაფხვიერება და ჭანგის ფესურებისაგან გაწმენდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. პლატონ მეზვრიშვილმა 4 აპრილი დასვენების დღედ გამოაცხადა. ამ დღეს მიხდვრად ერთი კაციც არ მუშაობდა. 5 აპრილს კი 200 მუშა-ხელიდან სამუშაოზე მხოლოდ 24 კაცი გავიდა.

გორის რაიონში ამჟამად ჭარხლის 24 სათესია, მაგრამ ეს მანქანები წესიერად ვერ არის დატვირთული და გამოყენებული. პატარა გარეჯვრის, შინდისის, არაშენდის, ახალ-ხიზისა და სხვა კოლმეურნეობებში გაგზავნილი სათესი მანქანები გამოუყენებელია. შაქრო რუსიშვილის სატრაქტორო ბრიგადამ (გორის მტს-ი) ერთი სათესი მანქანით სამ დღეს მხოლოდ 6 ჰექტარი ჭარხალი დათესა, ეს მაშინ, როცა დღიურ ნორმად ათესისათვის 10 ჰექტარია დაწესებული. ამ ბრიგადაში „უნივერსალის“ მარკის ტრაქტორით თესვასთან ერთად აწარმოებენ საჭარხლე მიწების გადახვნასა და დაზიგზაგებას. ეს კი იწვევს სათესი მანქანის მოცდენას.

გორში არც ჭარხლის ნათესების დასამუშავებლად და მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებიან წესიერად. გორის მტს-ს შეუკეთებელი აქვს 32 კულტივატორი და 10 ცალი ბაპარატი „ზარა“ (ამ ბაპარატით იწარმოებს მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა).

○

ასეთი მუშაობით შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავალი არ მიიღება.

გორის რაიმიწგანის გამგემ ამხ. ბურაკოვმა, გორისა და ახალსოფლის მტს-ების დირექტორებმა ამხ. კალანდაძემ და ძებნიაურმა უნდა მიიღონ ზომები შაქრის ჭარხლის თესვაში არსებული ჩამორჩენის დაჩქარებით გამოსასწორებლად.

ბ.-კ. რკინიგზის სამმართველოს ავტობაზის შოფერი ამხ. გერარდი შოფერის თანაშემწეებს უხსნის მოტორის ანთების პრინციპს.

ფოტო ბუდეშტსკასა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ხუთშაბათი, 8 აპრილი

პროკურორის გასაჭირი

— ბარნაბ! შენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს და, თუ ძმა ხარ, უარს ნუ მეტყვი. იცი რა, ხუთასი მანეთი უნდა მოძიებერხო როგორმე. კოოპერაციას ყოველთვის შეუძლია ასეთი უმნიშვნელო თანხის დაძვრენა. რა ფული ხუთასი მანეთი თან! „ჩეპუხა“! ამ შეძთხვევაში იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვისთანაც გაქვს საქმე, ხომ ასეა? პროკურორთან არაფერი დაგეკარგება. თქვენს საქმეებზე მე ხშირად ვმუშაობ, ალბათ მომავალშიაც ეიხლაფორთში. ამ საბუთით მკონია უფლება მაქვს თქვენგან ხუთასი მანეთი მივიღო—მიმართა ორჯონიკიძის (ხარაგოული) რაიონის პროკურორმა შალვა ბუაჩიძემ ხარაგოულის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარეს ბარნაბ ბერაძეს.

ეს იყო 1935 წლის აგვისტოში.

— სესხის სახით, თუ როგორ?

— სესხად რომ მინდოდეს, რაღა თხოვნა მიხდოდა, შენ დაგეღირებოდი? არა, ისე... ჩაიცინა პროკურორმა.

ამ მოულოდნელმა ამბავმა ბერაძე, რომ იტყვიან, ბრანჯივით დააბნია. ენა ვეღარ დასძრა, თითქოს პირის ღრუში ენის ნაცვლად ქვის ნაჭერი ჰქონოდა. თავში ფიქრების ქარიშხალი აუვარდა, აზრები ერთმეორეს ელვის სისწრაფით სცვლიდენ.

ხუთასი! არ შესცდე ბარნაბ, მაგრად იყავი, პროკურორი გცდის—არწმუნებდა ბერაძე თავის თავს.

ნამდვილად კი პროკურორს გამოცდა სჭირდა. ამ ეკლესიო, სრულიად სერიოზულად სთხოვდა. და როცა ბერაძისაგან უარი მიიღო, გაუკვირდა. ალბათ ტაქტიკაში მოეტყუვდიო და ახლა საკითხს სხვანაირად მიუდგა. თვითონ ასწია ფულის გაცემის რამდენიმე ხერხი, მაგრამ ბერაძემ „ჰგმო ღმერთი“ და თანხმობა არ იკისრა.

ასე დამთავრდა პირველი შეხვედრა.

ესე ამბავი მეორედაც განმეორდა, მესამედაც.

— რა გინდა კაცო, რისა გეშინია, თუ ვინმე გიჩივლებს, საქმე ჩემთან არ უნდა მოვიდეს!

— რა ვქნა, ეს რა შარს გადავეკიდე. მივიდე—მეშინია, არ მივიდე და—ვაი თუ... — მოეცით რაიმე საბუთი და 300 მანეთს მოჯართმევთ, ათრთოლებული ხმით უთხრა ბერაძემ.

— ჰაჟალუსტა, საბუთს როგორ არ მოგცემ!..

პროკურორის კალმის შემოქმედება ასე იკითხება:

„ამით გეცნობებათ, რომ ჩვენთან სწარმოებს საქმე ბრალდებისა გამო ბიჭტორ ნიორაძის სოფლის კოოპერატივში მისი სამსახურის დროს 14 ათასი მანეთის მითვისებისა... ამჟამად ნიორაძე მოთავსებულია გორის გამსახლში, საჭიროა იგი გადმორიცხულ იქნეს ზესტაფონის ჟამსახლში. მიველინების თანხა საგამომძიებლო ორგანოს არ აქვს, გაიღეთ 300 მანეთი და ეს თანხა ბიჭტორ ნიორაძეს დაეკისრება გადასახდელად“.

ასეთი ტიპიური პროკურატურის სხვა ორგანოების მიმართაც ბევრჯერ შეუდგენია. ხელი საკმაოდ გაუწაფავს. სასტუმროდანაც მიუღიათ ცოტა რაღაც თახხა, საშენ მასალათა კომბინატიდანაც, მარტო ცუცქირიძისა და სხვების საქმეზე ექსპერტიზისა და მიველინებისათვის დაწესებულებას 900 მანეთზე მეტი გამოართვეს.

ჯაიარა დრომ. პროკურორ ბუაჩიძეს ფული კვლავ დასჭირდა. ახლაც ბერაძეს დაუმახსა. პროკურორმა მიზანს ახლა კი ვეღარ მიაღწია. ორ მეგობარს (!) შორის ამ ნიადაგზე უკმაყოფილება ჩამოვარდა. საქმე განმარტდა. ამანაც გაიგო, იმანაც.

პროკურორმა საყვედურის ნიშნად თავი დააქნია, სახე მოიღრუბლიანა, ეტყობოდა მრისხანე ჭიქა-ჭეხლისათვის ემზადებოდა.

დატრიალდა, შეაგროვა ბერაძის ქვეღი და ახალი „დანაშაული“, დასწერა სამრალდებლო დასკვნა და სასამართლოს გადასცა.

მოსამართლე ჭურში კი არ ცხოვრობდა, თვალყურს ადევნებდა პროკურორის მოქმედებას, აკოდა საქმის შინაარსი, მისი ასავალ-დასავალი და პროკურორის გაბრაზებას იმით უპასუხა, რომ ეს საქმე თავიდანვე აიცილა და ჯანსაღველად ჯუღელის რაისასამართლოს გადასცა.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბერაძე სულ უცოდველი კრავია. ბოძაოთალია, ბერაძე კარგი სამეურნეო მუშაკია მაგრამ შეცდომა მასაც მიუღია.

მაგალითად, ბერაძეს შეცდომა დაუშვია მაშინ, როცა სასადილოს საკუმნაოს გამგედ გამომძიებელ მხეიძის ნათესავი მ. ფალავანდიშვილი დაუნიშნავს.

ან კი რა ექნა მიიღე, კარგი ბიჭია, საქმეს საათივით აგიწყობსო — ეუბნებოდა მხეიძე. ცარა უთხრა, მაგრამ როცა დაეწყო — მე შენ გიჩვენებ სეირსო, ბერაძემ იფიქრა, გამომძიებელი და პროკურორი ჩემს მტერს გადაეკიდოო, ადგა და ფალავანდიშვილი საკუმნაოს გამგედ დანიშნა.

ფალავანდიშვილი ლოთი და გამფლანგველი აღმოჩნდა. მართალია, ბევრი ვერ მოუსწრია, სულ რაღაც 7000 მანეთი გაუთმასუნებია, მაგრამ პატარა სასადილოსათის ესეც კაი ფულია. მერე თურმე ასეთი ახირებული კაცი ყოფილა ფალავანდიშვილი, რომ კარგი ბიჭი იყავი და დანაშაულის გამოსწორებაზე მიუთითებდი რაძეს! მაშინვე გიყვირებდა:

— ენა ჩაიგდე პუცელში, რა შენი საქმეა, ხომ იცი ვინა ვარ, ვისი მოყვანილი, მე მაგარი ზურგი მაქვსო.

ბერაძემ — ნათქვამია საბრალდებლო დოკუმენტში — ხელი შეუწყო ფალავანდიშვილს ფულის გაფლანგვაშიო.

ეს სწორია, ფაქტია. ფაქტზე კი ამბობენ — ჯიუტიაო.

ბარნაბ! შენ რომ სასადილოში მაგარი კონტროლი დაგეწესებია, მაშინ ლუბლეუთავა, გამომძიებელი მხეიძე ცოლად და თვით პროკურორი სასადილოს საკუმნაოდან პროდუქტებს უკანონო გზით ვეღარ გაიტანდნენ. ახლა კი... ვაი სირცხვილო! აქ როგორღა გინდა თავი იმართლო?

— გააწყალეს გული პროკურატურის თანამშრომლებმა, პირდაპირ ჩვენი სასადილოს კმაყოფაზე იმყოფებიან! — რამდენჯერ უთქვამს მზარეულს, მაგრამ — „სხვათორო“ ხალხიაო—და ამას ყურადღება არავინ მიაქცია.

პროკურორს ბუაჩიძეს, გამომძიებელ მხეიძეს თავიანთი ჯალაბობითა და დამქაშებით ხან ქათამი მიჰქონდათ, ხან — ხორცი, ხან—ღვინო და ხან—კიდევ ვინ იცის რა!

იქნებ ფულს იხდიდნენ?

მაგრამ ბუხჰალტერიის საბუთები რომ ამაზე უარს ამბობენ!

იქნებ ფასს საკუმნაოს გამგეს აძლევდნენ?

კი მაგრამ საკუმნაოში ფულის გადახდა ხომ წესის დარღვევაა, ეს თვით პროკურატურასაც კარგად მოეხსენება. ამბობენ, საკუმნაოს გამგეს უფლება არა აქვს ფული ხელზე მიიღოსო. მხოლოდ ბუხჰალტერიისაგან გაცემული საბუთის მიხედვით უნდა გასცეს სურსათი.

ახლა კი გასაგებია, რატომ ეძახდნენ ფალავანდიშვილს მხეიძის მომმარაგებელს და რატომ სცდილობდა მხეიძე და კომპანია სასადილოში მის მოწყობას.

პროკურორი მაინც თავისას იძახის, ბერაძე სასტიკად უნდა დაისაჯოსო.

საბუთი?

— თუ მოვინდომე საბუთს, რამდენიც გინდა, იმდენს ვიშოვნი. საქმე ისაა, გვჭირდეს უნარი რწყილიდან აქლემი გამოძაძერინო.

ჩვენს შორის დარჩეს და, ასეთი მოქმედება პროლეტარული მართლმსაჯულების დარღვევა უნდა იყოს.

იბადება კითხვა: ბოროტად იყენებენ თუ არა პროკურორი ბუაჩიძე და გამომძიებელი მხეიძე სამსახურებრივ უფლებას?

მოდი და ამ კითხვის გადაწყვეტა რესპუბლიკის პროკურორს მივანდოთ!

შილა მახვილაძე

ჩაის ფოთლის კონტრაქტაცია

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 22 თებერვლის დადგენილებით, საქართველოში წელს პირველად ტარდება ჩაის ფოთლის კონტრაქტაცია. ამ საკითხზე ჩვენს თანამშრომელს „საჭაიში“ შემდეგი აცნობეს: ჩაის ფოთლის კონტრაქტაცია დიდ სტიმულს იძლევა ჩაის მოსავლიანობის გადიდებისა და კრეფის გეგმების შესრულებისათვის. „საჭაიმ“ ამ დღეებში ზუგდიდსა და ჩაქვში მოიწვია სპეციალური თათბირები. თათბირებს დაესწრნენ ჩაის ფაბრიკების დირექტორები, სამკროების მუშაკები, უფროსი აგრონომები, მთავარი ბუხჰალტრები, ეკონომისტი - მგეგმავები, „საჭაის“ მიერ ცალკე რაიონებზე მიმაგრებული მუშაკები (13 კაცი). თათბირებმა დიდი ინტერესით ჩაიარა.

ამჟამად გაშლილია მუშაობა კონტრაქტაციის ჩასატარებლად. „საჭაის“ რწმუნებულები და ჩაის ფაბრიკის დირექტორები დაუკავშირდნენ სამიწათმოქმედო ორგანოებს. კონტრაქტაციის ჩატარება დაკისრებული აქვს ტრესტს „საჭაის“. აღგილებზე ამ მუშაობას ეწევიან ჩაის ფაბრიკები რაიონული ორგანიზაციების დახმარებით.

კონტრაქტაციაში გათვალისწინებულია მუხლი, რომლის მიხედვით კოლმეურნეობა, კოლმეურნე და მეჩაიე (ერთპიროვნული მეურნე) იღებენ ვალდებულებას ჩაის პლანტაციებში მოსავლიანობის ასაწევად ჩატარონ მთელი რიგი აგროტექნიკური ღონისძიებანი. კონტრაქტანტს დასამზადებელ ფასზე დანამატი პირველი ხარისხის ფოთლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ეძლევა სეზონის ბოლოს, როცა იგი მთლიანად შეასრულებს ჩაბარების გეგმას. პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის გეგმაზე ნაკლები რაოდენობით ჩაბარების შემთხვევაში კონტრაქტანტს დანამატი არ ეძლევა. არ მიეცემა აგრეთვე დანამატი მეორე და მესამე ხარისხის ფოთლის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ზაფხულის სავეგეტაციო პერიოდში აკრძალულია უხეში ფოთლის კრეფა.

ჩაის ფაბრიკები აწარმოებენ მოსამზადებელ მუშაობას კონტრაქტანტთა საყურადღებოდ მომსახურებისათვის. „საჭაი“ უკვე ჰბეჭდავს ახალი ფორმის ბარათებს, გამზადებულია და ჩაის ფაბრიკებს დაეგზავნებათ ფოთლის მიღების წესები. აღგილებს მიეცათ დაწვრილებითი ინსტრუქცია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფოთლის ფასებისა და დანამატის ანაზღაურების წესებზე. ჩაის ფოთლის კონტრაქტაციის ხელშეკრულებები საკმაო რაოდენობით გადაგზავნილია აღგილებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის ფოთლის ხარისხს. სეზონის განმავლობაში მოკრეფილი ჩაის მთელი რაოდენობის 72 პროცენტი პირველ ხარისხისა უნდა იყოს.

დავალება შეუსრულებელია

ცნობილია, რომ საგზაო მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საშენ მასალათა დროულად დამზადების და გასაყვან თუ სარემონტო გზების პირად გამოზიდვას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც წესი, საგზაო ორგანოებმა ამ საკითხზე ყოველ წლის პირველ კვარტალში უნდა იზრუნონ და ეს პერიოდი გამოიყენონ იმისათვის, რომ მეორე კვარტალიდან, როდესაც, ჩვეულებრივ, გზათა მშენებლობისათვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი იწყება, ფართოდ გაშალონ მუშაობა.

გეგმით მთელს რესპუბლიკაში უნდა დამზადებულიყო 10.089 კუბ. მეტრი ხე-ტყის მასალა, რაც შუა მარტისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 16,7 პროც. (დამზადებულია 1692 კუბ. მეტრი); ხრეში, 544400 კუბ. მეტრის ნაცვლად, დამზადებულია 151,303 (გეგმის 27,8 პროც); ქვა, 107770 კუბ. მეტრის ნაცვლად — 46257 (42,9 პროც); ქვიშა, 32,198 — ის ნაცვლად 2077 კუბ. მეტრი (გეგმის 6,5 პროც).

როგორც ვხედავთ, ამ დავალების შესრულებაში სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს. თითქმის არცერთ რაიონს არ შეუსრულებია მიცემული გეგმა.

გამონაკლისს მხოლოდ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი და ყარაიას რაიონი შეადგენენ, სადაც დავალება ვადამდეა შესრულებული. არის რაიონები ახალციხე, ახალქალაქი, ბოგდანოვკა, წალკა, ასპინძა, ბორჯომი, გორი, ჩხარი, ცაგერი, ადიგენი და ბიჭვი სხვა რომელთაც ჯერ ხელიც არ გაუნძრევიათ საგზაო მასალების დამზადებისათვის და საგზაო საშენი მასალა არ დაუმზადებიათ.

დღეს რომ ჩამოუაროთ რაიონებს და ჰკითხოთ მათ ხელმძღვანელთ, რატომ არ დაამზადეთ მასალა მიზეზად მკაცრ ზამთარს დაგისახელებენ. მაგრამ ეს არ არის სწორი.

განა სამხრეთ-ოსეთში წელს საქართველოს სხვა კუთხეებზე ნაკლები ზამთარი იყო, რომ იქ შესრულება, არამედ გადააჭარბეს მისცემულ გეგმას და ვადამდე გამოაზიდეს მასალები გზებზე?

ავიღოთ თუნდაც ქახეთის რაიონები. განა იქ მთელი ზამთარი თოვლიან — ყინულიანი იყო? არა. დეკემბერში, იანვარში და თითქმის თებერვლის შუა რიცხვებამდე იქ მშრალი დარები იდგა, საუცხოო პირობები ჰქონდათ საგზაო მასალის და მზადებისათვის, მაგრამ, გურჯაანის რაიონის გარდა, დანარჩენებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ ლაგოდეხის რაიონმა გეგმა შეასრულა 39 პროც. თელავისამ—30, საგარეჯოსამ—20 და სიღნაღისამაც ამაზე ნაკლები. მხოლოდ გურჯაანის რაიონი მიუდგა ამ საკითხს პასუხისმგებლობით და საკმაოდ ბევრი მასალა დაამზადა. ჯერ კიდევ იანვარში, კახეთის რაიონების შემოწმების დროს, სახელმწიფო გზებზე საჭირო მასალა იქ მთლიანად გამოზიდული იყო და გაჩაღებული მუშაობა მიდიოდა კარიერებში. დღეს ეს რაიონი საგზაო საამშენებლო სეზონს მომზადებული ხვდება; თუმცა გეგმა მთლიანად არც იქ შეუსრულებიათ. შედარებით კარგი მდგომარეობაა აქეს ყვარელსაც, სადაც აგრეთვე გამოყენებული იყო ხელსაყრელი ამინდები.

მოკლედ, ვადა გავიდა, დავალება შეუსრულებელია, მაგრამ დავალება მაინც ძალაში რჩება. იგი უნდა შესრულდეს აუცილებლად. ამის პირობები ადგილებზე მოეპოვებათ. რაიონთა ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ პარტია სასტიკად პასუხს მოსთხოვს ყველას მისი დადგენილების შეუსრულებლობისათვის.

ან. კელენჯერიძე

ნინო ძიძიგური

შეგნებული დისციპლინა სკოლაში

სწავლა-აღზრდის მთავარი ორგანიზატორი მასწავლებელია, რადგან მოწაფის აღზრდა უმთავრესად სახ-ჯოთა სკოლას ეკისრება. სკოლამ უნდა განამტკიცოს მოწაფეში შეგნებული დამოკიდებულება სწავლა-აღზრდისადმი.

კარგ მასწავლებელს კარგად აღზრდილი მოწაფეები ეყოლება, — ეს უდავო ჭეშმარიტებაა. ცუდი ბავშვები არ იბადებიან, მაგრამ ცუდი აღზრდის შედეგად ცუდ ბავშვებს მაინც ვხედებით ცხოვრებაში. ხშირად ხდება, რომ ერთი და იგივე მოწაფე ერთი მასწავლებლის გაკვეთილზე დინჯად ზის, ყურადღებით და ბეჯითად მუშაობს, მეორე მასწავლებლის გაკვეთილზე კი ხმაურობს, ხტის, დარბის და მასწავლებლის ყვირილს ყურადღებას არ აქცევს. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? რასაკვირველია, თვით მასწავლებელში! თუ მასწავლებელმა თავის საგანი ღრმად არ იცის, მეთოდურ ხერხებს არ არის დაუფლებული, კლასში მოუმზადებელი შედის, გამომუშავებული არა აქვს დიქცია, მიხვრა-მოხვრა, არ უვარგა მეტყველება, არ იცის როგორ დადგეს, როგორ მოიქცეს, დაუმუშავებელ და უხეირო კითხვებს აყენებს, იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებს მოწაფეებში ავტორიტეტის მოპოვებას. ასეთი მასწავლებელი მიზეზს ხშირად სხვაგან ეძებს, ცდილობს მოწაფეებს თავი „შეაყვაროს“, იაფი პოპულარობით გავიდეს ფონს. მეორე მასწავლებელი, პირიქით, სიმკაცრით და მრისხანებით უგებს ბავშვებს: ლანძღავს, აგინებს, დამამცირებელი ეპიტეტებით მიმართავს მათ (აეთრიე, გაეთრიე, დაეგდე და სხვ.).

საბჭოთა სკოლის მასწავლებელი, გარეშა იმისა, რომ უნდა იყოს თავისი საგნის ღრმა მცოდნე, პედაგოგიურად განათლებული და მარჯვისტული მსოფლმხედველობით აღჭურვილი, თავისი პირადი ქცევით საკლასო და საკლასგარეშო მუშაობით ბავშვებში უნდა აღძრას პატივისცემა, სიყვარული, ნდობა. ამ ნდობის საფუძველზე მასწავლებელი ბავშვებში ამყარებს ისეთ ურთიერთობას, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ზნეობრივ-ესთეტიკური ცნებების ჩამოყალიბებას, ბავშვების ცნობიერების, ნების, გრძნობის, ინტერესების განვითარებას.

მასწავლებელი ბავშვებს ასწავლის ცოდნის შეძენას, ავითარებს მათ ინტელექტუალურ ძალებს, ამეცადინებს, ამოწმებს მათ ცოდნას, აფასებს მათ მუშაობას

ორშაბათი

4

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲒᲐᲜᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲔᲪᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲛᲔᲪᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲛᲐ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲛᲔᲪᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ 7 ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ